სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/29

ქ. თბილისი 14 ივნისი 2024

სტუ-ის შიდა აუდიტის სამსახურის ანალიზი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თ. ურთმელიძის მიერ წარმოდგენილი დასკვნის 2024 წლის 03 ივნისის №0000614320 და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშთან დაკავშირებით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**